საქართველოს მთავრობის

დადგენილება №455

2012 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე20 მუხლის მე4 პუნქტის შესაბამისად, „ საქართველოს მთავრობის კანცელარიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 6 ივლისის №244 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/07/2012, 010220000.10.003.016913) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საქართველოს პრემიერმინისტრისა და მთავრობის საქმიანობის ინფორმაციულ და ანალიტიკურ უზრუნველყოფას;“.

2. მე3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) იურიდიული დეპარტამენტი;

ბ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;

გ) საფინანსო დეპარტამენტი;

დ) საზოგადოებასთან ინტეგრირებული კომუნიკაციების დეპარტამენტი;

ე) სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი.“.

3. მე5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობის კანცელარიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერმინისტრი. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც/რომლებსაც ხელმძღვანელის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ მინისტრი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**